



## კონკურსის - „სუფთა რეგიონი“ შეფასების კრიტერიუმები. 2023 წელი

### ყველაზე სუფთა მხარე

- ❖ რამდენად პრიორიტეტულია რეგიონებში არსებული მუნიციპალიტეტებისთვის ნარჩენების მართვის საკითხები, რომელებიც ორიენტირებულია ნარჩენების შემცირებაზე. შეფასება გაკეთდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი დაფინანსების ზრდისა და ბოლო 3 წლის განმავლობაში ნარჩენების მომსახურების საფასურის ამოღების მაჩვენებლების მიხედვით.

გთხოვთ, მიუთითოთ შემდეგი მონაცემები:

1. რეგიონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ნარჩენების მართვისთვის გამოყოფილი და დამტკიცებული თანხების ოდენობა ბოლო 3 წლის განმავლობაში;
2. მუნიციპალიტეტების მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში ნარჩენების მართვის მომსახურებაზე ამოღებული საფასურის ოდენობა.

- ❖ 2023 წელს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა, რომელიც განისაზღვრება ეროვნული ინდიკატორების შესრულების მიხედვით და შეუსრულებელი ღონისძიებების მაჩვენებლებით (შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით: ცუდი <50%; ნაწილობრივი 50%- 70%: კარგი 70%-და ზემოთ).

გთხოვთ, მიუთითოთ:

1. 2023 წლისთვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების მიხედვით საჭირო თანხების ოდენობა.
2. ინფორმაცია 2023 წლის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შესახებ.

- ❖ 2023 წელს რამდენი პროცენტით შემცირდა რეგიონში საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ აღრიცხული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა)?

გთხოვთ, მუნიციპალიტეტების მიხედვით მიუთითოთ: 1. 2022 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების ოდენობა და ფართობი (ჰა); 2. 2023 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა).

❖ რეგიონში მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისის ხელმისაწვდომობა.

გთხოვთ, მოგვანოდოთ: 1. რამდენი ადმინისტრაციული (სოფელი, დაბა, ქალაქი) პუნქტია რეგიონში; 2. რეგიონის მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა; 3. რამდენ ადმინისტრაციულ პუნქტს მიეწოდება ნარჩენების მართვის სერვისი სრულად (100%-ით). 4. მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც მიეწოდება ეს სერვისი.

❖ 2023 წელს რეგიონის მოსახლეობის ჩართულობა დასუფთავების აქციებში.

გთხოვთ მუნიციპალიტეტების მიხედვით მოგვანოდოთ ინფორმაცია დასუფთავების აქციებისა და მასში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობის შესახებ.

❖ არსებობს თუ არა მხარეში მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებით მიღებული სხვადასხვა კატეგორიის ნარჩენების ნაკადები. ხდება თუ არა მათი შეგროვება და აღდგენა/რეციკლირება.

გთხოვთ მოგვანოდოთ ინფორმაცია: 1. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებით შეგროვებული პლასტმასის, ქაღალდი-მუყაოსა და მინა-მეტალის რაოდენობა (ტონებში), რომელიც დაექვემდებარა აღდგენა-რეციკლირებას; 2. ცალკეულ მუნიციპალიტეტებში სპეციფიკური ნარჩენების (შესაფუთი მასალების, საბურავების, აკუმულატორებისა და ბატარეების, ელექტრონული, ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ზეთების) რაოდენობა (ტონებში), რომელიც დაექვემდებარა აღდგენა-რეციკლირებას.

❖ რამდენად აქტიურად არის ჩართული რეგიონული მედიასაშუალებები ნარჩენების მართვის პრობლემების გაშუქებაში;

გთხოვთ მიუთითოთ: 1. სიუჟეტებისა და სტატიების რაოდენობა, თემატიკა, მათი გამოქვეყნების ადგილი და თარიღი.

## ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი

- ❖ 2023 წელს რამდენად არის შემცირებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა);

გთხოვთ მიუთითოთ: 1. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა;  
2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა;

- ❖ 2023 წელს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩართულობა დასუფთავების აქციებში;

გთხოვთ მიუთითოთ ღონისძიებებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობა და მათი პროცენტული მაჩვენებელი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით.

- ❖ მუნიციპალიტეტის რამდენი დასახლებული ადმინისტრაციული პუნქტიდან ხდება ნარჩენების გატანა სრულად (100%-ით).

მიუთითეთ, პროცენტულად მოსახლეობის რა რაოდენობას ემსახურებიან სპეცტექნიკითა და ურნებით და რა ნაწილს - კარდაკარ, ზარის მეთოდით.

- ❖ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული ურნების რაოდენობა და მათი ტიპები დანიშნულების მიხედვით;

მიუთითეთ, რამდენი ურნაა გამოყენებული სეპარირებისთვის და რამდენი შერეული ნარჩენებისთვის.

- ❖ 2023 წლისთვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული დაფინანსება ნარჩენების მართვაზე (ლარებში), აგრეთვე ამოღებული მოსაკრებლის რაოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებიდან ცალ-ცალკე;

ასევე მიუთითეთ, გამოყოფილი თანხის რა პროცენტულ მაჩვენებელს შეადგენს ამოღებული თანხა.

- ❖ 2023 წელს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა;

გთხოვთ დაასახელოთ ეროვნული ინდიკატორების მიხედვით შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შესრულებული ღონისძიებები.

- ❖ არის თუ არა გამოყოფილი საამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად პოლიგონი?

მიუთითეთ პოლიგონის მდებარეობა და ფართობი.

- ❖ ხდება თუ არა ბიოდეგრადირებადი ნარჩენების კომპოსტირება?

თუ ხდება, მიუთითეთ მიღებული კომპოსტის რაოდენობა (ტონა).

- ❖ ნარჩენების ნაკადების განცალკევებული შეგროვება (მგვ ორგანიზაციების არსებობა და ფუნქციონირება);

ეროვნული ინდიკატორების შესრულების მიმდინარეობა.

- ❖ რეციკლირების სანარმოების არსებობა

ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები, მათი საპროექტო წარმადობა და დატვირთვა.

## ყველაზე სუფთა ქალაქი /დაბა

- ❖ 2023 წელს რამდენად არის შემცირებული ქალაქის/დაბის ტერიტორიაზე არსებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა);

გთხოვთ, მიუთითოთ ქალაქის/დაბის ტერიტორიაზე: 1. 2022 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა);  
2. 2023 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა).

- ❖ 2023 წელს ქალაქის/დაბის მოსახლეობის ჩართულობა დასუფთავების აქციებში;

მიუთითეთ დასუფთავების აქციებში მონაწილე მოსახლეობის რაოდენობა და მათი პროცენტული მაჩვენებელი ქალაქში/დაბაში მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით);

- ❖ ქალაქის/დაბის რა ფართობიდან ხდება მუნიციპალური ნარჩენების გატანა და მოსახლეობის რა რაოდენობას მიუწვდება ხელი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისზე (მიუთითეთ ქალაქის საერთო ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პროცენტული მაჩვენებლები);

მიუთითეთ, პროცენტულად მოსახლეობის რა რაოდენობას ემსახურებიან სპეცტექნიკითა და ურნებით და რა რაოდენობას - კარდაკარ, ზარის მეთოდით.

- ❖ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ურნების რაოდენობა და მათი ტიპები დანიშნულების მიხედვით;

მიუთითეთ, რამდენი ურნაა გამოყენებული სეპარირებისთვის და რამდენი შერეული მუნიციპალური ნარჩენებისთვის.

- ❖ 2023 წლისთვის თვითმართველი ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული დაფინანსება ნარჩენების მართვაზე (ლარებში), აგრეთვე მობილიზებული თანხები (მოსაკრებელი) ფიზიკური და იურიდიული პირებიდან ცალ-ცალკე და ჯამში;

❖ 2023 წელს თვითმართველი ქალაქის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა

❖ გთხოვთ დაასახელოთ ეროვნული ინდიკატორების მიხედვით შესრულებული, ნაწილობრივ შესრულებული და შესრულებელი ღონისძიებები;

❖ არის თუ არა გამოყოფილი პოლიგონი საამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად?

მიუთითეთ პოლიგონის მდებარეობა და ფართობი.

## ყველაზე სუფთა სოფელი/თემი

❖ სოფლის/თემის ტერიტორიაზე განლაგებული ურნების რაოდენობა და მათი ტიპები დანიშნულების მიხედვით;

მიუთითეთ, რამდენი ურნაა გამოყენებული სეპარირებისთვის და რამდენი შერეული მუნიციპალური ნარჩენებისთვის.

❖ 2023 წელს სოფლის/თემის ტერიტორიაზე არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა);

გთხოვთ, მიუთითოთ სოფლის/თემის ტერიტორიაზე: 1. 2022 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა);

2. 2023 წელს დაფიქსირებული არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა და ფართობი (ჰა).

❖ სოფლის/თემის რა ფართობიდან ხდება მუნიციპალური ნარჩენების გატანა და მოსახლეობის რა რაოდენობას მიუწვდება ხელს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისზე?

მიუთითეთ სოფლის/თემის ფართობისა და მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პროცენტული მაჩვენებლები;

## ყველაზე სუფთა ქუჩა

- ❖ ქუჩის სიგრძე, მასზე განლაგებული მუნიციპალური ნარჩენების ურნების რაოდენობა და მათი ტიპები დანიშნულების მიხედვით;
- ❖ სანიაღვრე და სამეურნეო - საყოფაცხოვრებო კანალიზაციების სისტემების არსებობა (ეს სისტემები უნდა იყოს განცალკევებული);
- ❖ არის თუ არა ქუჩები ადაპტირებული შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- ❖ ქუჩაზე გამწვანებისა და სკვერების არსებობა;
- ❖ არქიტექტურული ძეგლების არსებობის შემთხვევაში მათი მდგომარეობა;

(წერილობით ინფორმაციასთან ერთად საჭიროა ფოტოსურათები).

## სუფთა, ლამაზი ეზო

- ❖ ეზოს გამწვანება, გაზონების არსებობა;
- ❖ სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედნების არსებობა;
- ❖ სანიაღვრე და სამეურნეო - საყოფაცხოვრებო კანალიზაციების სისტემების არსებობა (ეს სისტემები უნდა იყოს განცალკევებული);  
(წერილობით ინფორმაციასთან ერთად საჭიროა ფოტოსურათები).

## სუფთა, ლამაზი საწარმოს/დანესებულების ეზო

- ❖ ეზოს გამწვანება;
  - ❖ ეზოს ფართობი (კვ.მ) მასზე განლაგებული ნარჩენებისთვის ურნების რაოდენობა და მათი ტიპები დანიშნულების მიხედვით;
  - ❖ სანიაღვრე, საწარმოო და სამეურნეო - საყოფაცხოვრებო კანალიზაციების სისტემების არსებობა (არის თუ არა საკანალიზაციო სისტემები გამხოლოებული და რამდენად ეფექტურია საწარმოო ჩამდინარე წყლების ლოკალური გამწმენდი ნაგებობი);
  - ❖ ინფორმაცია საწარმოს ნარჩენების მართვის შესახებ.
- ❖ შეფასება მოხდება წარდგენილი სურათების მიხედვით და ადგილზე გადამოწმებით.
- ❖ წარმოდგენილი უნდა იყოს ვიზუალური მასალა.

## ლურჯი ნაკადული

- ❖ წყაროს / ნაკადულის/ მცირე მდინარის სახელწოდება და ადგილმდებარეობა;
- ❖ მდინარის ჰიდრომორფოლოგიური მდგომარეობა;
- ❖ მდინარის წყლის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან მიმართებით;
- ❖ იხტიოფაუნის მდგომარეობა;
- ❖ წყალშმკრების ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა;
- ❖ ისტორია (თუ ასეთი არსებობს);
- ❖ დასუფთავების აქციის ამსახველი ვიზუალური მასალა, სურათები.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საჭირო ფოტო და საინფორმაციო მასალა უნდა გამოგზავნონ [info@greens.ge](mailto:info@greens.ge) -ზე და facebook-ის გვერდზე.

- ნომინაციებში გამარჯვებული გამოვლინდება ცხრილში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით.
- შეფასება მოხდება შეფასების კომისიის მიერ.
- შეფასების კომისია შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების, გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან.
- სუფთა რეგიონის შესახებ ინფორმაციას გვანჯდის სამხარეო რწმუნებულის ადმინისტრაცია. აგრეთვე ინფორმაცია შეიძლება მოძიებულ იქნას საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს მიერ.
- სუფთა მუნიციპალიტეტისა და სუფთა ქალაქის შესახებ ინფორმაციას გვანჯდიან შესაბამისი მერიები. აგრეთვე ინფორმაცია შეიძლება მოძიებულ იქნას საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველოს მიერ;
- სუფთა სოფელი/თემის შესახებ ინფორმაცია და ფოტოსურათების მონოდება შეუძლიათ სოფლის რწმუნებულებს, მაცხოვრებლებსა და ტურისტებს,
- სუფთა ლამაზ ეზოსთან, სუფთა ლამაზ სანარმოლო/ორგანიზაციის ეზოსთან და ლამაზ აივანთან დაკავშირებით ინფორმაციისა და ფოტოსურათების მონოდება შეძლია მესაკუთრეს, მის მეზობელს, ნაცნობს ან მეგობარს. სურათს უნდა ერთვოდეს ეზოს/აივნის მისამართი, მეპატრონის ვინაობა და ტელეფონი.
- სუფთა ნაკადულის შესახებ ინფორმაციის მონოდება შეუძლია ნებისმიერ პირს.
- ფოტოები გამოქვეყნდება დავიცვათ საქართველოს სისუფთავის ვებგვერდზე და facebook-ის გვერდზე
- საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები საქართველო 2024 წლის თებერვალ მართში ჩაატარებს მუნიციპალურ შეხვედრებს ნარჩენების მართვის საკითხებზე , მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად (შეხვედრები გაიმართება ონლაინ )